სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

პროექტის მონიტორინგის და შეფასების წესი

მუხლი 1. მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი წესის მიზანი

1.1 სს"საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი"-ს (შემდგომში „ფონდი") პროექტის მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი წესის (შემდგომში – წესი) მიზანია პროექტის მონიტორინგისა და შეფასების დანერგვა და ამ მიმართულებებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბება.

1.2 წესი ადგენს პროექტის მონიტორინგისა და შეფასების ერთიან პროცედურებს, მეთოდოლოგიასა და სტანდარტებს.

1.3 მონიტორინგის მიზანია პროექტის ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულების შემოწმება, ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების განსაზღვრა.

1.4 შეფასების მიზანია პროექტის შედეგებისა და მიღწევების დეტალური შესწავლა და შესაძლო გავლენის დადგენა.

მუხლი 2. მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი წესის ამოცანებია:

2.1 არსებული გარემოებიდან გამომდინარე, შესაბამისი რჩევების მომზადება და მათი დროული მიწოდება , გადაწყვეტილებების მიმღებ პირთათვის, რათა მათ შესაძლებლობა მიეცეთ და უზრუნველყონ პრიორიტეტების ჩამოყალიბება ამ ინფორმაციის გამოყენებით.

2.2 იმის განსაზღვრა თუ რამდენად მოხდა პროექტის შედეგების მიღწევა პრიორიტეტების, ამოცანებისა და შუალედური შედეგების გათვალისწინებით.

2.3 დამტკიცებული პროექტისათვის კონკრეტული მონიტორინგის პროცედურის განსაზღვრა.

2.4 პროექტებზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა.

2.5 არსებულ პროექტზე შვილობილ კომპანიებთან საქმიანობის კოორდინაციისა და ინფორმაციის მიმოცვლის წესის განსაზღვრა.

2.6 პროექტთან დაკავშირებით სარეკომენდაციო შეფასების საკითხების (ჩამონათვალის) განსაზღვრა.

2.7 უზრუნველყოს პროექტთან დაკავშირებით ფონდის საქმიანობის ანგარიშვალდებულების გაზრდა და პროექტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობა.

მუხლი 3 მონიტორინგისა და შეფასების მიდგომები და პრინციპები

3.1 მონიტორინგსა და შეფასებას შორის განსხვავება ვლინდება როგორც მეთოდოლოგიისა და პერიოდულობის მიხედვით, ასევე დანიშნულებიდან გამომდინარე. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი შესაძლო განსხვავება მათ შორის დამოკიდებულია იმაზე, თუ პროექტის განხორციელების რა მასშტაბზე კეთდება აქცენტი.

3.2 მონიტორინგი ორიენტირებულია აქტივობებისა და ამოცანების შედეგებისა და მათი ინდიკატორების მიღწევასთან დაკავშირებით, ხოლო შეფასება სხვა კრიტერიუმებთან ერთად ორიენტირებულია ამოცანების შედეგებზე, გავლენასა და მათ შესაბამის ინდიკატორებზე.

3.3 მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი წესი მოიაზრებს ორი დონის ინდიკატორს: აქტივობისა და ამოცანის. ამოცანის ინდიკატორები ზომავს, ჩარევის შუალედურ ზეგავლენას და პირდაპირ კავშირშია აქტივობის ინდიკატორების შესრულებასთან. თავის მხრივ, აქტივობის ინდიკატორები ზომავს, პროექტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს.

მუხლი 4 ინდიკატორის მონიტორინგის გეგმა

4.1 Formal project implementation plan-ით დგინდება ინდიკატორის მონიტორინგის გეგმა, რომელიც თითოეული ინდიკატორის შესახებ გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას. ყველა პროექტისთვის, ცალკე მზადდება ინდიკატორის მონიტორინგის გეგმა , შესაბამისი აქტივობების, როგორიცაა: ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი, შესყიდვების გეგმის შესრულება და მონიტორინგი, პროექტის ტექნოლოგიის მიხედვით (ჰიდრო, მზე, ქარი, სხვა) ძირითადი KPI-ების მონიტორინგი, რის მიხედვითაც თითოეულ ინდიკატორზე შესაძლებელია შემდეგი ინფორმაციის მიღება:

- დასახელება;
- აღწერა;
- გაზომვის ერთეული;
- დისაგრიგაცია/ჩაშლა;
- მონაცემთა წყარო;
- მონაცემების შეგროვების მეთოდი;
- მონაცემთა შეგროვების სიხშირე;
- ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი/უწყება.

მუხლი 5 ინდიკატორის აღწერა

5.1 ინდიკატორის მონიტორინგის გეგმაში, თითოეული ინდიკატორის გასწვრივ, მოცემულია ინდიკატორის აღწერა. აქტივობის მქონე ინდიკატორების აღწერაზე მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ კონკრეტული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები.

მუხლი 6 გაზომვის ერთეული

6.1 ინდიკატორის გაზომვის ერთეული იძლევა ინფორმაციას, რომელი გაზომვის ერთეულების გამოყენებით მოხდება კონკრეტული ინდიკატორის დაანგარიშება/ან ინფორმაციის მიღება და როგორ არის გამოხატული - ციფრებში, პროცენტულ მაჩვენებლებში, თანხობრივში თუ ა.შ.

მუხლი 7 დისაგრიგაცია/ჩაშლა

7.1 საერთო სურათისთვის და საბოლოო შედეგისთვის, სადაც კი შესაძლებლობა იქნება, მონაცემები მოგროვდება, გაანალიზდება და ანგარიშგება მოხდება გენდერის, ასაკობრივი ჯგუფების, სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების, რეგიონების მიხედვით. გადაწყვეტილებების მიმღებებს, ჩაშლილი ინფორმაციის მეშვეობით ანგარიშგება, საშუალებას აძლევს დაინახონ, რა სარგებელს იღებს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფი გეგმის განხორციელებით.

7.2 ინდიკატორის მონიტორინგის გეგმაში მითითებულია, რომელი ინდიკატორი- რა ჩაშლის მიხედვით უნდა შესრულდეს, მიღებული მონაცემების გაანალიზება და ანგარიშგება მოხდება წლიური ანგარიშის ფორმატში.

მუხლი 8 მონაცემთა წყარო, შეგროვების მეთოდი და სიხშირე

8.1 მონაცემთა წყარო, მითითებულია ინდიკატორის მონიტორინგის გეგმაში. მონაცემების პირველადი წყარო არის აქტივობების განმახორციელებელი ორგანო.
8.2 პრიორიტეტისა და ამოცანის ინდიკატორების შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის, გარდა უწყებებიდან წარმოდგენილი მონაცემებისა, შეიძლება გამოყენებულ იქნას მეორად მონაცემთა წყაროები, როგორიცაა სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული ანგარიშები, ორგანიზაციული ჩანაწერები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
8.3 მონაცემთა შეგროვების სიხშირე დამოკიდებულია ინდიკატორზე. ამოცანის ინდიკატორების შესახებ მონაცემები შეგროვდება ყოველთვიურად, ხოლო აქტივობის ინდიკატორებისთვის კი, 6 თვის მიხედვით.

მუხლი 9 ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული

9.1 ამოცანისა და აქტივობის ინდიკატორების ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია პროექტების მართვის დეპარტამენტი. იმის გათვალისწინებით, რომ ამოცანის შემადგენელი ცალკეული ქმედებების შესრულებაზე, შესაძლოა სხვადასხვა დეპარტამენტები იყოს პასუხისმგებელი.

მუხლი 10 ინდიკატორის საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების გეგმა

10.1 ინდიკატორების მონიტორინგის გეგმა, იყენებს საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების ურთიერთმიმართებას.
10.2 სამიზნე მაჩვენებელი, არის გეგმის გაწერის დროს დაშვებული ვარაუდი, თუ რისი მიღწევა იგეგმება თითოეული ღონისძიების შესრულების შედეგად. საბაზისო მაჩვენებელი კი, არის ის საწყისი მაჩვენებელი, რასთან მიმართებაშიც მონიტორინგმა და შეფასებამ უნდა გაზომოს, რამდენად სწორად იყო განსაზღვრული და შესრულდა თუ არა სამიზნე მაჩვენებლები.
10.3 საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრა ხდება, წინა წლების პერიოდში მიღებული და გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე.
10.4 თუ სამოქმედო გეგმის შესრულების დროს, შეიცვალა ან გადახედვას დაექვემდებარა საბაზისო მაჩვენებელი, შესაბამისად უნდა შეიცვალოს სამიზნე მაჩვენებელიც.
10.5 საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, საკითხის განხილვა უნდა მოხდეს ფონდის მმართველი საბჭოს მიერ.

მუხლი 11 მონაცემთა ხარისხი

11.1 მონიტორინგის პროცესში, მონაცემების ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ სტანდარტებს, როგორიცაა ვალიდურობა, სანდოობა, დროულობა, სიზუსტე და სისრულე.
11.2 მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელმა პირებმა, უნდა უზრუნველყონ ამ მონაცემების ხარისხი.

მუხლი 12 ინდიკატორების შესრულება

12.1 შესრულების ინდიკატორის ჩარჩოს შეფასება უნდა მოხდეს წლების მიხედვით, სამიზნე ინდიკატორებთან მიმართებაში. შესრულების ინდიკატორების შესრულება, განისაზღვრება თითოეული ქვემოთ მოცემული ამოცანის ინდიკატორის (შესრულების ინდიკატორის) პროცენტული შესრულების მიხედვით.
12.2 ინდიკატორის შესრულება წარმატებულად ჩაითვლება, თუ შესრულდება მინიმუმ 75%-ით. თუ, ძირითადი შესრულების ინდიკატორის შესრულება 75%-ზე ნაკლებია ჩაითვლება რომ ინდიკატორი არ შესრულდა .
12.3 შესრულების ინდიკატორი, არის წლიური ანგარიშის შემადგენელი ნაწილი. საჭიროა განისაზღვროს გამოსწორების ქმედითი ღონისძიებები, რათა აისახოს შემდგომი წლების დაგეგმილი და საბოლოო სამიზნე ინდიკატორის მისაღწევად.